



მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი

უცხოელი სტუდენტები საქართველოში

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი მომზადდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების: „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გრძელვადიანი ამოცანების განხორციელების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა“ და „განვითარებაზე მიგრაციის გავლენის გაძლიერება საქართველოში“ (STREAMinG) მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსი არ გამოხატავს ევროკავშირისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) შეხედულებებს.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



შიზრაბიის საკითხთა
სამთავრობო კომისია



სახელმწიფო სერვისების
ბანკითა და საბაზრო

სარჩევი

შემოკლებები	3
შესავალი	4
მიგრაციის პროფილის მკითხველის გზამკვლევი.....	5
მოკლე შეჯამება/ძირითადი ტენდენციები	6
უცხოელი სტუდენტების გავლენა საქართველოს განათლების სისტემაზე.....	7
უცხოელი სტუდენტების დინამიკა	7
უცხოელი სტუდენტების წილი საქართველოს უსდ-ებში ჩარიცხულ სტუდენტებს შორის	9
უცხოელი სტუდენტები მოქალაქეობის მიხედვით	10
უცხოელი სტუდენტების განაწილება უსდ-ების მიხედვით	10
უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოში	11
უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელი ფაქტორები.....	15
უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში არსებული განათლების სისტემის შეფასება	17
უცხოელი სტუდენტების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.....	18
უცხოელი სტუდენტების მიერ განათლებაზე გაწეული მთლიანი ხარჯები	18
უცხოელი სტუდენტები და საქართველოს შრომის ბაზარი	18
უცხოელი სტუდენტების დანახარჯები საქართველოში	20
ფინანსური მხარდაჭერის სერვისები უცხოელი სტუდენტებისთვის.....	23

შემოკლებები

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
განათლების სამინისტრო	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ევროსტუდენტის კვლევა	„ევროსტუდენტი VII-ის (2019-2021) ეროვნული კვლევის ძირითადი შედეგები“
მეას	მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
მსსკ/კომისია	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია
სსგს	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსდ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
COVID-19	კორონავირუსული დაავადება - 19
EMIS	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
PMC	„პი ემ სი“ კვლევითი ცენტრი

შესავალი

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (მსსკ/კომისია) 2015 წლიდან ამზადებს ე.წ. *საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილებს*, რომელთა მთავარი დანიშნულებაა, ყველა სახის მკითხველს მისთვის გასაგები ფორმით მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია ძირითადი მიგრაციული ტენდენციების შესახებ და ამით ხელი შეუწყოს სფეროთი დაინტერესებული მკვლევარების და აკადემიური წრეების საქმიანობას, ასევე, გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი წარმოადგენს *საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის* ლოგიკურ გაგრძელებას. თუმცა, მისგან განსხვავებით, ის ფოკუსირებულია მიგრაციული პროცესების მხოლოდ ერთ ასპექტზე და აღწერს მას მონაცემთა ვიზუალიზების გზით, რაც მკითხველს მნიშვნელოვნად უმარტივებს მონაცემების აღქმას და უკეთესი ანალიზის და ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს.

რიგით მეხუთე *მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი* ეძღვნება უცხოელი სტუდენტების გავლენის ანალიზს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემასა და ეკონომიკაზე. აღნიშნულ საკითხზე *მოკლე ფორმატის პროფილი* პირველად 2017 წელს მომზადდა¹ და, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადაწყდა დოკუმენტის ხელმეორედ მომზადება / განახლება. ამდენად, იგი თავისი წინამორბედის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.

უცხოელი სტუდენტების მზარდი რაოდენობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციასა და განათლების ხარისხის განვითარებაზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკაზე. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია*² ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ამასთანავე, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია³ ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა.

მოცემული *მიგრაციის პროფილი* მიზნად ისახავს, სხვადასხვა ჭრილში გააანალიზოს საქართველოში უცხოელი სტუდენტების შესახებ 2017-2021 სასწავლო წლების⁴ სტატისტიკური მონაცემები და შეაფასოს უცხოელი სტუდენტების, როგორც მნიშვნელოვანი აქტორების, როლი ქვეყნის ეკონომიკასა და უმაღლესი განათლების სისტემაში.

¹ მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი „უცხოელი სტუდენტები საქართველოში“, 2017 წ. https://migration.commission.ge/files/migraciis_profil_i_a5_geo.pdf (ნანახია: 30.09.2022).

² 2022-2030 წწ. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 31.08.2022 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5557675?publication=0> (ნანახია: 30.09.2022).

³ საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია. https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf (ნანახია: 30.09.2022).

⁴ სასწავლო წლის მაჩვენებლები მოცემულია შესაბამისი წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით. მაგ., 2017-2018 წწ. მაჩვენებელი არის 2017 წ. 1 ნოემბრის მდგომარეობით უცხოელი სტუდენტების რაოდენობა.

დოკუმენტი, ძირითადად, ეყრდნობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (განათლების სამინისტრო) და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (სსგს) სტატისტიკურ მონაცემებს; მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის (მეას) ანგარიშს, „პი ემ სი“ კვლევითი ცენტრის (PMC) კვლევისა და *ევროსტუდენტის* საერთაშორისო კვლევის შედეგებს; აგრეთვე, სხვადასხვა ანალიტიკურ ანგარიშებს.

მიგრაციის პროფილის მკითხველის გზამკვლევი

მიგრაციის პროფილი კომპლექსური დოკუმენტია, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული/დამუშავებული დიდი ოდენობის სტატისტიკური ინფორმაცია, რასაც თან ერთვის შესაბამისი ანალიზი.

დოკუმენტის სტრუქტურა საგანგებოდ იმგვარად არის აგებული, რომ მისი ნაწილები ერთმანეთთან აზრობრივად იყოს დაკავშირებული და ამ უწყვეტი ჯაჭვის ერთიანობაში აღქმის შედეგად გამოიკვეთოს საერთო სურათი. სათანადოდ, პროფილის რომელიმე ნაწილის კითხვისას აუცილებელია თემასთან დაკავშირებული წინამორბედი ან/და მომდევნო ნაწილის სწორად გააზრება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

ამასთანავე, 2015 წლიდან მოყოლებული, ე.წ. საშუალო და მოკლე ფორმატის სისტემის პროფილები შედგენილია ისე, რომ მკითხველმა მარტივად შეძლოს მათ შორის კავშირის დანახვა და წლების მიხედვით მონაცემების სწორი შედარებითი ანალიზის გაკეთება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დოკუმენტზე მუშაობა შრომატევადი პროცესია და მისი განახლება გარკვეულ დროს მოითხოვს. ამდენად, *მიგრაციის პროფილის* გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს დოკუმენტში მითითებულ წყაროებს და მათი ნახვის თარიღს. ამის აუცილებლობა შემდეგი გარემოებებიდან მომდინარეობს:

- ა) მონაცემები მოგროვილია და, ძირითადად, ასახავს 2017-2021 სასწავლო წლების ვითარებას. შესაბამისად, არ უნდა მოხდეს მათი უახლეს მდგომარეობასთან გაიგივება;
- ბ) პროფილში წარმოდგენილი ცალკეული მონაცემები და წყაროები ხშირად ახლდება და შესაძლებელია, რომ წყაროების მოგვიანებით ნახვისას განსხვავებული/განახლებული ინფორმაცია ფიქსირდებოდეს.

შესაბამისად, მიგრაციის პროფილებიდან კონკრეტული მონაცემის განკერძოებულად/განცალკევებულად გამოყენება, შესაძლოა, არასწორი დასკვნის საფუძველი გახდეს.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდების გამარტივებისა და მონაცემების ადვილად აღქმის მიზნით ბოლო თაობის *პროფილების* სერია მაქსიმალურად ვიზუალიზებულია, მათი გამოყენებისას ზუსტად იმავე პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს მკითხველმა, როგორც ნარატიული ტექსტის მქონე პროფილებით

სარგებლობისას - წინამორბედ და/ან მომდევნო ნაწილებს დაუკავშიროს და მთლიანობაში ასე გაიაზროს.

ასეთი მიდგომით მკითხველს საშუალება მიეცემა, მიიღოს საჭირო ინფორმაცია და მისი მეშვეობით გააკეთოს სწორი დასკვნები.

მოკლე შეჯამება / ძირითადი ტენდენციები

- 2017-2021 სასწავლო წლებში საქართველოში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა მზარდი დინამიკით ხასიათდება;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების დინამიკა მზარდი იყო 2017-2018 წლებში. აღსანიშნავია, რომ სასწავლო ბინადრობის ნებართვების წილი გაცემული ბინადრობის ნებართვების მთლიან რაოდენობაში 2017-2020 წლებში სტაბილურად მზარდი იყო და 32%-დან 45%-მდე გაიზარდა;
- 2017-2020 წლებში საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (92%) თბილისის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უსდ) იღებს განათლებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წლებში აჭარის ა/რ უსდ-ებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა და მასთან ერთად მათი წილი უცხოელი სტუდენტების მთლიან რაოდენობაში (3%-დან 5%-მდე) გაიზარდა;
- უმაღლესი განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა ჯანდაცვის მიმართულებაზე⁵ სწავლობს;
- 2017-2020 წლებში უსდ-ებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების ნახევარს (51%) ინდოეთის (40%) და აზერბაიჯანის (11%) მოქალაქეები შეადგენენ;
- უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორებია: ქვეყნის უსაფრთხოება, სწავლის და ცხოვრების დაბალი დანახარჯები;
- უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საშუალო გადასახადი ლარში ყოველწლიურად მატულობს;
- საქართველოში უცხოელი სტუდენტების (მათი უცხოელი ნათესავებისა და მეგობრების ჩათვლით) მიერ გაწეული მთლიანი ხარჯები 2020-2021 სასწავლო წელს 132.4 მილიონ აშშ დოლარს (411.9 მილიონ ლარს)⁶ შეადგენდა, რაც საქართველოს 2020 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0.8%-ს წარმოადგენდა;

⁵ მიმართულებები განსაზღვრულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019 69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1131547?publication=0> (ნანახია: 30.09.2022).

⁶ კვლევაში ყველა გამოთვლისთვის გამოყენებულია 2020 წლის საშუალო გაცვლითი კურსი, 1\$ = 3.1097 ლარი.


- უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში სამუშაოდ დარჩენას არ აპირებს. ხოლო დარჩენის მსურველებისთვის შრომის ბაზარზე ინტეგრირების ძირითად დაბრკოლებას ენის ბარიერი წარმოადგენს.

უცხოელი სტუდენტების გავლენა საქართველოს განათლების სისტემაზე

უცხოელი სტუდენტების დინამიკა

2017-2021 სასწავლო წლებში საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების მთლიანი ჯამური რაოდენობა მზარდი დინამიკით ხასიათდება. მათ შორის, ზრდა ფიქსირდება COVID-19-ის პანდემიის პერიოდშიც: 2020-2021 სასწავლო წლისთვის უცხოელ სტუდენტთა მთლიანმა რაოდენობამ 13,743-ს მიაღწია, რაც დაახლოებით 1.5-ჯერ აღემატება 2017-2018 სასწავლო წლის მაჩვენებელს.

დიაგრამა N 1 უცხოელ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა სქესის და წლების მიხედვით



წყარო: EMIS

რაც შეეხება საქართველოს უსდ-ებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ყოველწლიური ჩარიცხვის მაჩვენებელს, დინამიკა მზარდი იყო 2018 წლამდე. ეს, ძირითადად, ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვების ზრდის გამო მოხდა. 2019-2020 წლებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა მცირედით იკლებს, რაც, ძირითადად, განპირობებულია საბაკალავრო პროგრამებზე უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებლის შემცირებით (2018 წელთან შედარებით, 2019 წელს თითქმის 43%-ით შემცირდა)⁷.

⁷ „საქართველოს 2021 წლის მიგრაციის პროფილი“, მსკ, 2021 წ.

ცხრილი N 1 საქართველოს უსდ-ებში ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა წლების და სწავლების საფეხურის მიხედვით

სწავლების საფეხური	2017	2018	2019	2020	სულ
ერთსაფეხურიანი სამედიცინო	3,968	3,710	3,331	3,256	14,265
ბაკალავრიატი	1,243	1,281	735	791	4,050
მაგისტრატურა	172	188	164	182	706
დოქტორანტურა	20	5	6	9	40
ჯამი	5,403	5,184	4,236	4,238	19,061

წყარო: 2021 წლის მიგრაციის პროფილი

2017-2021 სასწავლო წლებში საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების ბალანსი გენდერულ ჭრილში გადახრილია კაცებისკენ (იხ. დიაგრამა N1). თუმცა, უცხოელი სტუდენტების საერთო რაოდენობაში კაცი უცხოელი სტუდენტების წილი 2020-2021 სასწავლო წლისთვის 58%-მდე კლებულობს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, უცხოელი სტუდენტების 87% 18-25 წლის კატეგორიაში ექცევა. ეს მაჩვენებელი წლების მიხედვით სტაბილურია.

2017-2018 წლებში მზარდი იყო უცხოელ სტუდენტებზე გაცემული ბინადრობის ნებართვები. თუმცა 2019 წლიდან გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების რაოდენობა მცირდება და 2020 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს, რისი ძირითადი მიზეზიც, დიდი ალბათობით, COVID-19-ის გლობალური პანდემია და მისგან გამოწვეული საერთაშორისო მობილობის შემცირებაა, რაც განათლების მიღების ჭრილში უმეტესწილად დისტანციური სწავლების მოდელზე/ფორმატზე გადასვლით აისახა.

2017-2021 წლებში სასწავლო ბინადრობის ნებართვების დიდი ნაწილი ინდოეთის, ირანის და ნიგერიის მოქალაქეებზეა გაცემული.

ცხრილი N 2 უცხოელ სტუდენტებზე გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების რაოდენობა მოქალაქეობის და წლების მიხედვით

	2017	2018	2019	2020	2021	ჯამი
ინდოეთი	2,556	4,486	4,068	2,291	1,917	15,318
ირანი	145	326	607	456	440	1,974
ნიგერია	253	268	321	316	475	1,633
სხვა	1,183	971	1,036	1,080	2,079	6,349
ჯამი	4,137	6,051	6,032	4,143	4,911	25,274

წყარო: სსგს

აღსანიშნავია, რომ სასწავლო ბინადრობის ნებართვების წილი გაცემული ბინადრობის ნებართვების მთლიან რაოდენობაში 2017-2020 წლებში სტაბილურად მზარდი იყო და 32%-დან 45%-მდე გაიზარდა.

ცხრილი N 3 უცხოელ სტუდენტებზე გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების რაოდენობა და წილი გაცემული ბინადრობის ნებართვების მთლიან რაოდენობაში

	2017	2018	2019	2020	2021
გაცემული ბინადრობის ნებართვების მთლიანი რაოდენობა	19,331	22,583	20,794	13,714	16,985
სასწავლო ბინადრობის ნებართვები	6,154	8,069	8,051	6,163	6,932
წილი	32%	36%	39%	45%	41%


წყარო: სსგს

განათლების სამინისტროს მონაცემებით, 2017-2020 წლებში საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა (92%) თბილისის უსდ-ებში იღებს განათლებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ წლებში აჭარის უსდ-ებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა და მასთან ერთად მათი წილიც (3%-დან 5%-მდე) გაიზარდა.

უცხოელი სტუდენტების წილი საქართველოს უსდ-ებში ჩარიცხულ სტუდენტებს შორის

უცხოელი სტუდენტების წილი საქართველოს უსდ-ებში ჩარიცხულ სტუდენტებში სტაბილურად მზარდია, კერძოდ, 2017-2018 სასწავლო წლიდან 2020-2021 სასწავლო წლის ჩათვლით, უცხოელი სტუდენტების წილი 6.3%-დან 8.4%-მდე გაიზარდა.

დიაგრამა N 2 უცხოელი და ქართველი სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს უსდ-ებში ჩარიცხულ სტუდენტებს შორის სასწავლო წლების მიხედვით




წყარო: EMIS

უცხოელი სტუდენტები მოქალაქეობის მიხედვით

2017-2020 სასწავლო წლებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების ნახევარზე მეტი (51%) ინდოეთის (40%) და აზერბაიჯანის (11%) მოქალაქეა. წლების მიხედვით, შესამჩნევია ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის კლება ინდოეთიდან და აზერბაიჯანიდან: 2017 წელთან შედარებით, 2020 წელს ჩარიცხული ინდოელი სტუდენტების რაოდენობა თითქმის განახევრდა, ხოლო ჩარიცხული აზერბაიჯანელი სტუდენტების რაოდენობა 3.5-ჯერ შემცირდა. ჩარიცხულ სტუდენტებს შორის, ასევე, აღსანიშნავია ირანის მოქალაქეები, რომელთა რაოდენობაც 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს 2.5-ჯერ გაიზარდა, თუმცა შემდგომ წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება. საინტერესო ტენდენცია შეიმჩნევა მაგალითად დიდ ბრიტანეთთან მიმართებით: 2019-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აღნიშნული ქვეყნიდან სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი. კერძოდ, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს უცხოელი სტუდენტების მაჩვენებელი თითქმის ორჯერ გაიზარდა.

დიაგრამა N 3 უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვები მოქალაქეობის და წლების მიხედვით



წყარო: EMIS

უცხოელი სტუდენტების განაწილება უსდ-ების მიხედვით

2017-2020 წლებში საქართველოში უცხოელი სტუდენტების 42% სამ უსდ-ში ირიცხება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტში და საქართველოს უნივერსიტეტში. წლების და უსდ-ების მიხედვით ტენდენციები განსხვავებულია: 2017-2018 სასწავლო წელთან შედარებით, 2020-2021 სასწავლო წელს უცხოელი სტუდენტების რაოდენობა „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტში თითქმის 2.5-ჯერ

გაიზარდა. აღნიშნული მონაცემით 2020-2021 სასწავლო წელს „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტში ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი ირიცხება და მათი რაოდენობა აჭარბებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობას.

ცხრილი N 4 უსდ-ები უცხოელი სტუდენტების მთლიანი რაოდენობის და წლების მიხედვით

უსდ	2020	2019	2018	2017
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	2,190	1,988	1,871	1,613
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	2,374	1,920	1,072	945
საქართველოს უნივერსიტეტი	1,686	1,621	1,251	916
ევროპის უნივერსიტეტი	905	857	972	541
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	934	760	614	533
სხვა	5,654	5,824	4,663	4,804
სულ	13,743	12,970	10,443	9,352

წყარო: EMIS

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე უსდ სტუდენტების მთლიან რაოდენობაში უცხოელი სტუდენტების მაღალი წილით გამოირჩევა. დაწესებულებები, რომელთა სტუდენტების ნახევარზე მეტი 2020-2021 სასწავლო წელს უცხოელია, არიან: „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“ და დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი.


უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოში

2017-2020 წლებში საქართველოს უსდ-ებში უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ყველაზე დიდი რაოდენობა 2017-2018 (169 საგანმანათლებლო პროგრამა) და 2020-2021 (168 პროგრამა) სასწავლო წლებში ფიქსირდება. 2020-2021 სასწავლო წლისთვის საქართველოში 82 უცხოენოვანი საბაკალავრო პროგრამა იყო, რაც უცხოენოვანი სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამების რაოდენობაზე თითქმის ორჯერ მეტია. რაც

შეხება უცხოენოვანი სადოქტორო პროგრამების რაოდენობას, 2020-2021 სასწავლო წელს ასეთი იყო 16.

ჯამურად, 2017-2020 წლებში ყველაზე მეტი უცხოენოვანი პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურზე იყო, ხოლო ყველაზე ცოტა - სადოქტოროზე.

დიაგრამა N 4 უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა განათლების საფეხურების და სასწავლო წლების მიხედვით




წყარო: EMIS

უსდ-ებში უცხოენოვან პროგრამებზე სასწავლო ენა, ძირითადად, ინგლისურია. 2017-2018 სასწავლო წელთან შედარებით, 2020-2021 სასწავლო წელს ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამების რაოდენობა 126-დან 145-მდე გაიზარდა, ხოლო რუსულენოვანი პროგრამების რაოდენობა 39-დან 21-მდე შემცირდა.

2017-2020 წლებში უცხოენოვანი პროგრამების 27% ჯანდაცვის მიმართულებით⁸ ხორციელდება, 22% - ბიზნესის ადმინისტრირების და 21% - ინჟინერიის, 9% - სოციალური მეცნიერებების, ხოლო 5% - ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით.

⁸ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10/04/2019 69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1131547?publication=0> (ნანახია: 30.09.2022).

დიაგრამა N 5 2017-2020 წლებში უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა მიმართულებების მიხედვით




წყარო: EMIS

2017-2020 წლების მონაცემებით, ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი (78%) ჯანდაცვის მიმართულებით სწავლობდა. აღსანიშნავია, რომ 2017-2018 სასწავლო წელთან შედარებით, 2020-2021 სასწავლო წელს აღნიშნული მონაცემი თითქმის ორჯერ გაიზარდა. ევროსტუდენტი VII-ის (2019-2021) ეროვნული კვლევის მიხედვითაც, უცხოელ სტუდენტთა უმრავლესობა (70.3%) ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტია. აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით, მონაცემების ასეთი გადანაწილების მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღება იმ ქვეყნებთან შედარებით, საიდანაც უცხოელი სტუდენტები ჩამოდიან, ფინანსურად უფრო ხელმისაწვდომია. როგორც ჩანს, უცხოელი ახალგაზრდებისთვის, ერთი მხრივ, დამაკმაყოფილებელია ქვეყანაში მოქმედი სამედიცინო უსდ-ების მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები; მეორე მხრივ კი, სწავლის გადასახადია მათთვის ხელმისაწვდომი⁹.

სასწავლო მიმართულებების მიხედვით მეორე ადგილზე უცხოელთა რაოდენობით არის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება (9%). აღნიშნულ მიმართულებაზე უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება, კერძოდ, 2017-2018 სასწავლო წელთან შედარებით, 2020-2021 სასწავლო წელს, 55%-იანი კლება დაფიქსირდა. სხვა მიმართულებების მიხედვით მონაცემები წლიდან წლამდე თითქმის იდენტურია და მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის.

⁹ „ევროსტუდენტი VII-ის (2019-2021) ეროვნული კვლევის ძირითადი შედეგები“; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. https://mes.gov.ge/mesgifs/1641899037_ევროსტუდენტი%20VII_კვლევის%20შედეგები.pdf (ნანახია: 30.09.2022).

დიაგრამა N 6 უცხოელი სტუდენტების განაწილება საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო წლების მიხედვით




წყარო: EMIS

საქართველოს უსდ-ებში უცხოენოვან პროგრამებზე სწავლის გადასახადი ლარში უცხოელი სტუდენტებისთვის სტაბილურად იზრდება. 2020-2021 სასწავლო წლისთვის უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე საშუალო გადასახადი, წინა სასწავლო წელთან (7,313 ლარი) შედარებით, 4%-ით გაიზარდა და 7,604 ლარი შეადგინა.

აღნიშნულ მონაცემებს აშშ დოლარში თუ განვიხილავთ, ჩანს, რომ გაანალიზებულ პერიოდში იმ უცხოენოვან პროგრამებზე, რომლებზეც უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, სწავლის გადასახადი 2018-2019 სასწავლო წლიდან მცირდება, კერძოდ, 2020-2021 სასწავლო წლისთვის საშუალო გადასახადი 2,602 აშშ დოლარიდან 2,445 აშშ დოლარამდე შემცირდა. შესაბამისად, ლარში საშუალო წლიური გადასახადის ზრდა, სავარაუდოდ, ლარის კურსის ცვლილებით არის გამოწვეული.

დიაგრამა N 7 უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე¹⁰ საშუალო წლიური გადასახადი ლარში და აშშ დოლარში



წყარო: EMIS

უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელი ფაქტორები

2019-2021 წლებში ჩატარდა ევროსტუდენტის კვლევის VII ტალღა და საქართველოს მასშტაბით მასში მონაწილეობა მიიღო როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე 425-მა სტუდენტმა, რომლებიც საქართველოში ავტორიზებულ უსდ-ებში სწავლობდნენ¹¹.


ევროსტუდენტის კვლევისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რა წყაროებით მიიღეს ინფორმაცია უცხოელმა სტუდენტებმა საქართველოში სწავლის არსებული შესაძლებლობების შესახებ. გამოკითხული უცხოელი სტუდენტებიდან თითქმის ყოველმა მესამემ (32.3%) აღნიშნა, რომ მათ ამის შესახებ იმ სტუდენტებისგან შეიტყვეს, რომლებიც უკვე სწავლობენ / სწავლობდნენ საქართველოში. სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდი გამოკითხულთა 16.4%-თვის აღმოჩნდა ინფორმაციის მიღების საშუალება. გარდა აღნიშნულისა, რესპონდენტები ასახელებენ ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: საერთაშორისო გამოფენები, უსდ-ის და განათლების სამინისტროს ვებგვერდები, თუმცა თითოეული შემთხვევისთვის ასეთ სტუდენტთა რაოდენობა არ

¹⁰ კვლევის მიზნებისთვის, დათვლილია იმ უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე საშუალო წლიური გადასახადი, რომლებზეც უცხოელი სტუდენტები 2017-2021 სასწავლო წლებში სწავლობდნენ.

¹¹ „ევროსტუდენტი VII-ის (2019-2021) ეროვნული კვლევის ძირითადი შედეგები“.
https://mes.gov.ge/mesgifts/1641899037_ევროსტუდენტი%20VII_კვლევის%20შედეგები.pdf (ნანახია: 30.09.2022).

აღმატება 12%-ს. 17.9%-ია იმ გამოკითხულთა წილი, რომლებიც, გარდა აღნიშნულისა, ინფორმაციის სხვა წყაროებზეც მიუთითებენ¹².

დიაგრამა N 8 უცხოელი სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიღების წყაროები



წყარო: ევროსტუდენტი VII-ის გამოკითხვა

ევროსტუდენტის გამოკითხვის მიხედვით, უცხოელ სტუდენტთა 26.6%-ისთვის საქართველოში განათლების მიღების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად მთავარი იყო სწავლის გადასახადი, ხოლო 17.5%-ისთვის - ცხოვრების პირობების ხელმისაწვდომობა. გამოკითხულთა მხოლოდ 14.1% ამბობს, რომ საქართველოში მხოლოდ მაღალი ხარისხის განათლების მიღების შესაძლებლობის გამო გადაწყვიტა სასწავლებლად ჩამოსვლა. აღსანიშნავია, რომ უცხოელ სტუდენტთა გარკვეული ნაწილისთვის (7.7%) მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მოსახლეობის კეთილგანწყობის საკითხი. იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც სხვა მიზეზებსაც ასახელებენ, 6.5%-ზე დაბალია¹³.

უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელი ფაქტორები ასევე შესწავლილ იქნა PMC-ის მიერ 2021 წლის ბოლოს, რათა შეფასებულიყო უცხოელი სტუდენტების, როგორც მნიშვნელოვანი აქტორების როლი ქვეყნის ეკონომიკასა და უმაღლესი განათლების სისტემაში.


PMC-ის მიხედვით, უცხოელი სტუდენტების საქართველოში სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელებულია ქვეყნის უსაფრთხოება (73%). სწავლის (66%) და ცხოვრების (46%) დაბალი დანახარჯები ის განმაპირობებელი ფაქტორებია, რომლებიც უცხოელ სტუდენტთა მიერ ასევე აღნიშნული იყო ევროსტუდენტის კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის დროს.

¹² იქვე.

¹³ „ევროსტუდენტი VII-ის (2019-2021) ეროვნული კვლევის ძირითადი შედეგები“.

უსდ-ს არჩევის შემთხვევაში უცხოელი სტუდენტების დიდმა ნაწილმა (74%) სწავლის გადასახადს მიაქცია ყურადღება, რასაც მოჰყვება დიპლომის საერთაშორისო აღიარება (64%) და სწავლის ხარისხი (53%). გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, აგრეთვე დასახელდა სხვა ფაქტორები¹⁴, რომელთაც გარკვეული გავლენა მოახდინეს სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

დიაგრამა N 9 უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები



წყარო: PMC

PMC-ის თანახმად, საქართველოს უსდ-ების უმრავლესობა უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით ე.წ. მომზიდავ კომპანიებთან (რეკრუტერი სააგენტო) თანამშრომლობს. გადასახადი, რომელსაც აღნიშნულ სერვისში შუამავალი კომპანიები თითო მოზიდულ უცხოელ სტუდენტზე უსდ-ებისგან იღებენ, ძირითადად, მერყეობს პირველი წლის სწავლის გადასახადის 5%-დან 15%-მდე. კომპანიების ნაწილი უნივერსიტეტებს თითოეულ მოზიდულ უცხოელ სტუდენტში კი პირდაპირ ფიქსირებულ გადასახადს სთხოვს, რომელიც დაახლოებით 800-1000 აშშ დოლარის ფარგლებშია. გამოკითხვამ აჩვენა, რომ უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოს არჩევის განმაპირობებელ ფაქტორებში შუამავალ კომპანიებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. გამოკითხული სტუდენტების 22%-მა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის არჩევის დროს სააგენტოს რჩევა გაითვალისწინა.

უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში არსებული განათლების სისტემის შეფასება

ევროსტუდენტის კვლევის ფარგლებში მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა მეოთხედზე მეტი (27%) ძალზე კმაყოფილია საქართველოში სწავლით, თითქმის მესამედი კი უფრო მეტად კმაყოფილია, ვიდრე უკმაყოფილო (32.5%). 26.7%-ია იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც ნეიტრალურ შეფასებას აძლევენ განათლების ხარისხს. იმ

¹⁴ მაგ.: ჩაბარების სიმარტივე, პრესტიჟული უნივერსიტეტი, ოჯახის წევრების/მეგობრების რეკომენდაცია, ა.შ.

რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ნეგატიურად აფასებენ საქართველოში სწავლას, 14.8%-ს არ აღემატება.


უცხოელი სტუდენტების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

უცხოელი სტუდენტების მიერ განათლებაზე გაწეული მთლიანი ხარჯები

უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადის მთლიანი ოდენობა და წილი განათლების სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში 2017-2018 სასწავლო წლიდან სტაბილურად იზრდება. 2017-2018 სასწავლო წელს უცხოელი სტუდენტების მიერ სწავლაში გადახდილი თანხა 63 მილიონი ლარი იყო, ხოლო 2020-2021 სასწავლო წელს აღნიშნული მაჩვენებელი, 2017-2018 სასწავლო წელთან შედარებით, ორჯერ გაიზარდა და 136 მილიონი ლარი შეადგინა¹⁵.

2017-2018 სასწავლო წელს უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადის წილი განათლების სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში 3.9%-ს შეადგენდა, 2020-2021 სასწავლო წლისთვის მაჩვენებელმა 6.8%-ს მიაღწია.

დიაგრამა N 10 უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის გადასახადის მთლიანი ოდენობა სასწავლო წლების მიხედვით



წყარო: PMC



უცხოელი სტუდენტები და საქართველოს შრომის ბაზარი

PMC-ის მიერ გამოკითხული უცხოელი სტუდენტების უმრავლესობის (64%) განცხადებით, მათთვის რთულია საქართველოში სტაჟირების ან ნახევარ განაკვეთზე დასაქმების შესაძლებლობის მოძიება. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის გამოწვევად დასახელდა პრაქტიკული გამოცდილების მიღების ნაკლები შესაძლებლობა სწავლის

¹⁵ PMC.

პროცესში. ამავდროულად, ენის ბარიერის გამო უცხოელ სტუდენტებს პრაქტიკის გავლისას უჭირთ ქართველ პაციენტებთან და ექიმებთან მუშაობა და ა.შ.

დიაგრამა N 11 უცხოელი სტუდენტების სტაჟირების და დასაქმების შესაძლებლობები და გეგმები სწავლის დასრულების შემდეგ




წყარო: PMC

PMC-ის მიხედვით, საქართველოში სასწავლებლად ჩამოსული უცხოელი სტუდენტების უმრავლესობის (68%) გეგმებში ქვეყანაში დარჩენა და აქ დასაქმება ნაკლებად მოიაზრება. მხოლოდ 22% აპირებს ქვეყანაში გარკვეული დროით დარჩენას დასაქმების, სწავლის გაგრძელების ან ერთდროულად, დასაქმების და სწავლის მიზნით. უცხოელი სტუდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ანაზღაურება, რომელსაც საქართველოში დასაქმების შემთხვევაში მიიღებენ, არ შეესაბამება იმ ხარჯებს, რასაც უცხოელი სტუდენტები საქართველოში განათლების მიღებაში იხდიან. თუმცა, ამავდროულად, საქართველოში სამედიცინო პროგრამების სტუდენტებისთვის არსებობს ბარიერი მუშაობის დასაწყებად. საქართველოს კანონმდებლობით, იმისათვის რომ კურსდამთავრებულმა მიიღოს შესაბამისი საექიმო კვალიფიკაცია და მიენიჭოს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება, აუცილებელია გაიაროს რეზიდენტურა, რომლის გამოცდები მხოლოდ ქართულ ენაზე ბარდება და სწავლაც ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

გამომდინარე იქიდან, რომ უცხოელი სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი გეგმავს საქართველოში დარჩენას და დასაქმებას, მათი ეფექტი საქართველოს შრომის ბაზარზე გარკვეულწილად უმნიშვნელოა.

აღნიშნულს ადასტურებს მეას-ის ანგარიშიც, რომლის მიხედვით 2012-2022 სასწავლო წლებში ჩარიცხული 42,359 უცხოელი სტუდენტიდან სულ 160-მა (0.4%) მიიღო შრომითი ბინადრობის ნებართვა 2014-2022 წლებში.¹⁶

დიაგრამა N 12 2012-2022 სასწავლო წლებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების პროცენტული წილი მოქალაქეობის მიხედვით, რომლებმაც 2014-2022 წლებში შრომითი ბინადრობის ნებართვა მიიღეს¹⁷



წყარო: მეას

უცხოელი სტუდენტების დანახარჯები საქართველოში

PMC-მ დაიანგარიშა ერთი უცხოელი სტუდენტის მიერ 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული საშუალო დანახარჯი, რომელიც 9,131 აშშ დოლარს გაუტოლდა (28,396 ლარი)¹⁸.

ცხრილი N5-ში მოცემულია 2020-2021 სასწავლო წელს ერთი უცხოელი სტუდენტის მიერ გაწეული ყოველთვიური დანახარჯების საშუალო მოცულობა¹⁹ და რესპონდენტების რაოდენობა, რომლებმაც შესაბამისი ხარჯი გაწიეს, ხოლო ცხრილი N6-ში მოცემულია ანალოგიური მაჩვენებლები წლიური დანახარჯებისათვის.

¹⁶ შრომითი ბინადრობის ნებართვა საქართველოში გაიცემა 2014 წლიდან, ხოლო მონაცემები წარმოდგენილია 2022 წლის 1 ივნისის მდგომარეობით.

¹⁷ ანგარიში მომზადდა მეას-ის საშუალებით EMIS-დან და სსგს-დან მიღებული მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირების შედეგად. გასათვალისწინებელია, რომ ანგარიშის შედეგების სიზუსტე დამოკიდებულია მონაცემების ხარისხზე წყაროებში. შესაბამისად, არსებობს გარკვეული სხვაობის ალბათობა არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით.

¹⁸ მაჩვენებელი მოიცავს როგორც სტუდენტების მიერ გაწეულ ყოველთვიურ, მრავალჯერად, ასევე ყოველწლიურ, ერთჯერად ხარჯებს.

¹⁹ PMC.

ცხრილი N 5 ერთი უცხოელი სტუდენტის მიერ გაწეული ყოველთვიური საშუალო დანახარჯები (აშშ დოლარში) 2020-2021 სასწავლო წელს

ყოველთვიური დანახარჯის ტიპი	ყოველთვიური დანახარჯის საშუალო რაოდენობა (აშშ დოლარი)	რესპონდენტთა რაოდენობა, რომელმაც უპასუხა შესაბამის კითხვას
ბინის ქირა	257	368
დანახარჯი წიგნებსა და სასწავლო მასალებზე	9	89
კომუნალური გადასახადები	47	333
მობილურის სერვისზე გადასახადი და ინტერნეტი	19	353
სურსათი	139	386
ტრანსპორტი	40	365
გართობა	66	341
სპორტდარბაზი	46	142
ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები	60	236
ჰიგიენა და თავის მოვლა	40	301
შვილები	85	20

წყარო: PMC

ცხრილი N 6 ერთი უცხოელი სტუდენტის მიერ გაწეული წლიური საშუალო დანახარჯები (აშშ დოლარში) 2020-2021 სასწავლო წელს


წლიური დანახარჯის ტიპი	წლიური დანახარჯის საშუალო რაოდენობა (აშშ დოლარი)	რესპონდენტთა რაოდენობა, რომელმაც უპასუხა შესაბამის კითხვას
სწავლის საფასური	3182	N/A ²⁰
სტუდენტის ხარჯი მოგზაურობაზე	298	323
ავტომობილის შეძენა	5380	44
ტექნიკის შეძენა	392	171
დანახარჯები ჯანდაცვაზე	226	316
დანახარჯები საყოფაცხოვრებო ნივთებზე	231	310

წყარო: PMC

კატეგორიების მიხედვით, შეიძლება გამოიყოს დანახარჯების რვა კატეგორია, რომელთა მიხედვით ჯამური დანახარჯები მოცემულია დიაგრამა N12-ში.

²⁰ სწავლის საფასურის საშუალო მოცულობა გაანგარიშებულია EMIS-ის მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა N 13 2020-2021 სასწავლო წელს უცხოელი სტუდენტების მიერ გაწეული ჯამური დანახარჯები კატეგორიების მიხედვით და მათი წილი ჯამურ დანახარჯებთან



წყარო: PMC

PMC-ის გამოთვლებით, 2020-2021 სასწავლო წელს, ჯამურად, ცხოვრების ხარჯებში²¹ უცხოელმა სტუდენტებმა 55.6 მილიონი აშშ დოლარი (173 მილიონი ლარი) დახარჯეს, რაც 2020-2021 სასწავლო წელს უცხოელი სტუდენტების მიერ გაწეული მთლიანი დანახარჯების 42%-ია. ცხოვრების ხარჯების მთავარი ქვეკატეგორია ბინის ქირის გადასახადია, რომელიც ამავე კატეგორიის დანახარჯების 45%-ს შეადგენს. ასევე, ცხოვრების ხარჯებში დიდი წილი (25%) უჭირავს სურსათზე დანახარჯებსაც, ხოლო დანარჩენი ქვეკატეგორიების წილი (მაგ.: ტრანსპორტის ხარჯი, კომუნალური გადასახადები და ა.შ.) ჯამში 30%-ია.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 2020-2021 სასწავლო წელს, ჯამურად, უცხოელმა სტუდენტებმა სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებში (სწავლის საფასური და წიგნებსა და სასწავლო მასალებზე გაწეული დანახარჯები) წელიწადში 44 მილიონი დოლარი (137 მილიონი ლარი) დახარჯეს, რაც 2020-2021 სასწავლო წელს უცხოელი სტუდენტების მიერ გაწეული მთლიანი დანახარჯების 33%-ია.

რაც შეეხება გართობასა და მოგზაურობაზე გაწეულ ხარჯს, რომელიც საქართველოში მოგზაურობას, ჰორეკა დაწესებულებების სტუმრობასა და სპორტდარბაზით სარგებლობას მოიცავს, ჯამში უცხოელმა სტუდენტებმა ამ ტიპის აქტივობებზე 2020-2021 სასწავლო წელს 10.5 მილიონი აშშ დოლარი დახარჯეს (32.7 მილიონი ლარი), ხოლო გართობაზე დანახარჯების წილი 2020-2021 სასწავლო წლის ჯამური დანახარჯების 8%-ს შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჯამური დანახარჯების 7% მანქანასა და ტექნიკაზე იყო გაწეული.

²¹ ცხოვრების ხარჯები აერთიანებს ბინის ქირის, კომუნალური გადასახადების, მობილურის სერვისზე გადასახადისა და ინტერნეტის, ტრანსპორტის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების, ჰიგიენისა და თავის მოვლის ხარჯებს.

გარდა უცხოელი სტუდენტების მიერ უშუალოდ გაწეული ხარჯებისა, გასათვალისწინებელია უცხოელი სტუდენტების უცხოელი ნათესავებისა და მეგობრების ვიზიტის ხარჯები საქართველოში²². ჯამში, უცხოელი სტუდენტების უცხოელმა ნათესავებმა და მეგობრებმა საქართველოში ვიზიტზე 2020-2021 სასწავლო წელს 6.8 მილიონი აშშ დოლარი (21.2 მილიონი ლარი) დახარჯეს.

საქართველოში უცხოელი სტუდენტების, მათი უცხოელი ნათესავებისა და მეგობრების მიერ გაწეული მთლიანი ხარჯები 2020-2021 სასწავლო წელს 132.4 მილიონ აშშ დოლარს (411.9 მილიონ ლარს) უტოლდება, რაც ქვეყნის 2020 წლის მშპ-ს 0.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული კვლევის თანახმად, უცხოელი სტუდენტების შემოსავლის მთავარ წყაროს სამშობლოში მყოფი ოჯახის წევრები წარმოადგენენ. კერძოდ, გამოკითხულ სტუდენტთა 80% მხოლოდ ოჯახის მიერ გამოგზავნილ ფულად რესურსს მოიხმარს. გამოკითხულ სტუდენტთა 13%-მა შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ პირადი დანაზოგები დაასახელა. აღსანიშნავია, რომ დასაქმებიდან მიღებულ შემოსავალს შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ 7% აღნიშნავს, ხოლო სტიპენდიას - მხოლოდ 2%.

ფინანსური მხარდაჭერის სერვისები უცხოელი სტუდენტებისთვის

საქართველოში უცხოელი სტუდენტებისთვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული ან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან, შემუშავებული მიზნობრივი დაფინანსების სქემა ამ დროისთვის არ არსებობს.

უცხოელები, რომლებიც საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული ან ერთიანი სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე ჩაირიცხებიან, გამოცდების შედეგების საფუძველზე, შემუშავებულ საგრანტო კონკურსში იღებენ მონაწილეობას. თუმცა 2020-2021 სასწავლო წელს მხოლოდ 15-მა უცხოელმა სტუდენტმა მოახერხა სახელმწიფო გრანტის მიღება. ბოლო ათწლეულში ამ მაჩვენებელმა თავის მაქსიმუმს (53 სტუდენტი) 2017-2018 წლებში მიაღწია. გარდა ამ სქემისა, საქართველოში სხვა ტიპის საგრანტო მექანიზმი უცხოელი სტუდენტებისთვის არ არსებობს.

PMC-ის თანახმად, უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების განმაპირობებელ ფაქტორს ფინანსური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა არ წარმოადგენს. გამოკითხულთა მხოლოდ 2%-მა აღნიშნა ფინანსური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა, როგორც საქართველოს უსდ-ში ჩაბარების გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი ფაქტორი.

²² უცხოელი ნათესავებისა და მეგობრების საქართველოში ვიზიტის ხარჯები სტუდენტების საშუალო წლიური დანახარჯების გამოთვლის გაანგარიშებაში გათვალისწინებული არ არის.